


3-13

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შაოვე ცხოვარი ჩემი წაწყებდელი. მსრფე იყო სიხარული ათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-ძიძიენი და მე განგისვენათ თქვენ. მათ. 11—28.

№ 1—2

1883—1900

1—30 იანვარი



კაცის ჭეშმარიტ ბედსა ერებსა შეიცავს მისი კეთილი ცხოვრება.

ღვთის წყალობით და შეწევნით ჩვენ გადავდექით ახალს წელში. ახალ წლის დღეს ჩვენ ჩვეულებად გვაქვს მიულოცოთ ერთი ერთმანერთს „ახალი წელიწადი ახალის ბედნიერებითა“. „ახალი წლის და ახალი ბედნიერების მილოცვაში“ ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს სიყვარულს და კეთილს სურვილს სხვა პირთადნი და გესურს, რომ ახალს წელში ჩვენს მგობართ და ნათესავთ ღმერთმა მიანიჭოს ახალი ბედნიერება. მართლაც, ახალი ყოველივე რაღაცა სასიამოვნო არის. ახალი ტანისამოსი, ახალრ სახ-

ლი, ახალი საქმელ-სასმელი რაღაცა სასიამოვნოდ მიანიჩა ყველას.

მაგრამ ყველას სხვა და სხვა გვარად ესმის ბედნიერება და ბევრს შემცდარი აზრიც აქვს მასზე. ზოგნი ბედნიერებას ხედვენ სიმდიდრეში. მაგრამ განა სიმდიდრე ბედნიერებას წარმოადგენს კაცისათვის? სრულიადაც არა. განა ცოტანი არიან ისეთი მდიდრები, რომელნიც ღარიბი კაცის ბედნიერებას შენატრიან? დიახ, გამოცდილებით ვიცით, რომ კაცი არას დროს არ არის კმაყოფილი თავისი ნივთიერი მდგომარეობით. ღარიბი კაცი ფიქრობს, რომ იგი ბედნიერი იქნება, რომ ჰქონდეს დღიური საზრდო ექნებოდეს. მაგრამ როცა ასეთ ღარიბს ღმერთი მიანიჭებს დღიურ საზრდოს, მაშინ მას სხვა მოთხოვნილება გამოუჩნდება. ვთქვათ მან ეს ახალი მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. მაშინ კიდევ სხვა ახალი საჭიროება გამოუჩნდება და მის სურვილს

*) თქმულ არს უფრიადს ეკველასაში ახალ წელს.

დასასრული არ ეძლევა. ესევე ემართება მდიდარსაც, რომელსაც დიდი საცხოვრებელი აქვს, მაგრამ იგი არას დროს კმაყოფილი არ არის ამ სიმდიდრით: იმას ეს სიმდიდრე ეცოტავება, ამიტომ თავისთავი ბედნიერად არ მიაჩნია და ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ მომეტებული სიმდიდრე შეიძინოს.

ამ დაუცხრომელ შრომასა და კიდევ სიმდიდრის შეძინების დაუღალავ მეცადინებაში უთავდებია ქვეყნიური ცხოვრება და უკანასკნელად ძლივს მოასწრებს თქმას: ჩემი ცხოვრება უბედური იყო და ჩემი სიმდიდრეც ოხრათ მზჩება.

ზოგნი ფიქრობენ, რომ ბედნიერებას შეიცავს პატივის ცემა, უფლება და ქვეყნიური დიდებაო. მაგრამ ისტორია და გამოცდილება გვიმტკიცებენ, რომ ის კაცები, რომელთაც მოაღწიეს უფშაღლეს ქვეყნიურ დიდებამდე, არ იყვნენ ბედნიერნი, პირიქით დიდი მწუხარება აქვდათ. მაშასადამე სრულს ბედნიერებას არ ანიჭებს კაცს არც პატივის ცემა, არც დიდება და არც ქვეყნიური შემძღებლობა.

ზოგნი ფიქრობენ, რომ სრული ბედნიერია კაცი მაშინ, როცა იგი სიამოვნებით ატარებს დროებას და იკმაყოფილებს თავისი გულის ყოველივე ვნებათა და სურვილთა. მაგრამ არა! ასეთ ცხოვრებაში კაცი ბედნიერებას კი არ იღებს, იგი მთლად იწამლავს თავის სიცოცხლეს. საზოგადოდ ყოველივე ქვეყნიური სიამოვნებანი არიან დროებითი და მალე წარმავლნი: ვინაიღვან ყველა ეს სიკეთენი: სიმდიდრე, ყოველგვარი ჩინები და პატივის ცემა ხელიღვან ეცლება კაცს სიკვდილის ქმას.

მხოლოდ ერთად ერთი ქვეყლის საქმენი შეადგენენ კაცის სამუდამო კუთვნილებას, კეთილი საქმენი კაცს თან მიყვება სიკვდილის შემდეგ იმ სოფელში. სწორეთ ამ ქვეყლის საქმეებში არის კაცის ქეშმარიტი ბედნიერება. მართლაც. ვინ უფრო კველაზე მოსვენებულია სულით და კმაყოფილია თავისი თავისა? ის, ვინც ცხოვრებს კეთილად და ღვთის სათნოდ. ამიტომ ამ ახალი წლის პირველ დღეს მოვილოცავთ და ვისურვებთ თქვენთვის სრულს

ბედნიერებას, ე. ი, ვისურვებთ, რომ თითოეული ჩვენგანი ცხოვრებდეს და იქცეოდეს თანახმად ქრისტეს სჯულისა.


ვინც ლოცვაზე არ დაიარებოდა, ახალი წლიდან იწყოს გულმოდგინე ლოცვა და ღვთის ვედრება. ვინც სრულიად არ დაიარებოდა ღვთის ტაძარში, ან დადიოდა, მაგრამ ხან-და-ხან, მან ყოველ კვირა-დღესასწაულ დღეებში იაროს ტაძარში. ვინც რამდენიმე წელიწადია არ ზიარებულა, იმან ვალად დაიღვინოს, რომ ყოველ წლიობით სთქვას აღსარება და ეზიაროს. ვინც არ ფიქრობდა თავისი ოჯახის კეთილ-დღეობას, და ურიგოდ ცხოვრებდა, მან იწყოს თავის ოჯახზე ზრუნვა. ვინც ცხოვრებდა მოტყუებით, იმან იცხოვროს პატიოსნებით და სიმართლით. ვისაც გულში ედვა შური, ლანძღავდა სხვებს, შურს ეძიებდა, ცილს წამებდა. პატივს არ ცემდა მშობელთ, ვინც არღვევდა ცოლ-ქმართ შუასიყვარულს, მან დაუტევოს ეს ცოდვები, და მათ ნაცვლად თავი დაიმშვენოს შესაბამი ქვეყლის საქმეებით: იქნეს მშვიდობის მოყვარე, პატივის მცემელი მშობლებისა და უფროსებისა და ნამდვილი მეუღლე. მოკლედ ვიტყვი: თითოეული ჩვენგანი უნდა ცლილობდეს იესო ქრისტეს მცნებათა სისრულით ასრულებას და მხოლოდ მაშინ ეიქნებოთ ბედნიერნი და ახალი წელიწადი შეიქნება ჩვენთვის ახალი ღვთის სათნო და კეთილის მყოფელი ცხოვრების დასაწყისი. შენი თავის გასწორებას ნუ გადადებ შემდეგი წლისათვის. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის: შეიძლება მომავალ წელში ჩვენ კიდევ გამოგვსალმობთ ამ ქვეყანას, შეიძლება უფალი მოსანანებლად გვაძლევდეს ამ წელიწადს, ჩენი ცხოვრების გასასწორებლად და საუკუნო ცხოვრებისათვის მოსამზადებლად. ვისარგებლობთ ამ მოცემული დროით, რომ მოუშზადებდნენ არ წარსდგეთ წინაშე ღვთისა განსჯის დღეს.

მიაქციეთ, ძმანო, ყურადღება ცხრამეტი დეკემბრის მიწის ძვრას. რამდენი ასი კაცი დაიფარა ნახევარი წამის განმამავლობაში შავი მიწით? რამდენი

კაცის სიცოცხლე მოისპო და ქვესკნელმა დაფარა. ასეა ძმაო ჩვენი ცხოვრება. იმ დროს, როცა გვეგონა, რომ ქვეყანას დავიმკვიდრებთ, მაშინ საფლავს მივეცემით. ამისათვის ჩვენს მოკლე ცხოვრებას უნდა ვხმარობდეთ მოსამზადებლად საუკუნო ცხოვრებისათვის.

მაშასადამე, საყვარელნო ძმანო, ჩვენი ქეშმა-რითი ბედნიერება მდგომარეობს კეთილის მყოფელ ცხოვრებაში და ღვთის მცნებათა სისრულით აღსრულებაში. ამ ბედნიერებას ვერაფერ ვერ წაგვართმევს ჩვენ, იგი მუდამ ჩვენთან დარჩება და ჩვენვე გაგვცემა სიკვდილის შემდეგ იმ სოფელში! უნეტებესად იქმოდე კეთილს, დაიცვე შენი სინიღისი წმინდად; ყოველ დღეს და ყოველ წამს ვეძღვრე უფალს, შესთხოვე მას, რათა მოგანიჭოს შენ ძალა მის წმიდა მცნებათა აღსრულებისათვის და შენ იქმნები სრული ბედნიერი.

დეკ. დ. ღამაშიძე.



იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეკრეტების მი-XXXIX კრება 4. ჟუთანისში 15, 16, 17, 18 და 19 დეკემბერს 1899 წ.

15 დეკემბერს, დილით დეპუტატების საკმაო რიცხვი შეიკრიბა და ამიტომ 11 საათზე დეპუტატები შეუდგენ კრების თავმჯდომარის აღრჩევას. ზოგიერთმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ კრების თავმჯდომარედ არ აღერჩიათ არც ბლადოჩინი და არც დეკანოზი, და ერთმა დეპუტატმა ამას შემდეგი დასძინა: „საზოგადოდ ნუ აღირჩევა თავმჯდომარედ გამოცდილი სამღვდლო პირი“. ამ ახირებულმა წინადადებამ სიცილი და გაკვირება გამოიწვია კრებაზე. თავმჯდომარის კანდიდატებად დასახელებს დეპუტატი ტ. კაპანაძე და ამ. ფოფხაძე. მ. კაპანაძე უარს აცხადებს, მაგრამ თითქმის დეპუტატების უმეტესი ნაწილი თხოვილობს მის თავმჯდომარედ

აღრჩევას. მ. ტ. კაპანაძე კიდევ უარს აცხადებს, მაგრამ დეპუტატები უფრო მომეტებულად სთხოვენ, რომ იგი დადგეს თავმჯდომარედ. ბოლოს ერთხმად ირჩევენ მას და არჩევის სიგელსაც ადგენენ. სიით იწვევენ დეპუტატებს სიგელზედ ხელმოსაწერად. იწვევენ სიგელზე ხელმოსაწერად დეკ. ღამაშიძეს.

დეკ. დეკ. დ. ღამაშიძე. 68 წლიდგან არა თუ ჩვენი ეპარქიის სამღვდლოების, არამედ სხვა ეპარქიების სამღვდლოების დეპუტატების კრებებსაც ვესწრები ხოლმე. არა ერთ გზის წამიკითხავს სინოდის განმარტებითი უქაზები და წესდებულება სამღვდლოების დეპუტატების კრების წეს-რიგის შესახებ და მე რომ ესლა ხელი მოგაწერო მაგვარ უკანონოდ შედგენილ სიგელს თავმჯდომარის აღრჩევის შესახებ, მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სასირცხო იქნება ჩემის მხრით. ამისთვის ხელს ვერ მოვაწერ. თქვენ მოაწერეთ ხელი და ჩემი ხელის მოუწერლობა არ დააბრკოლებს თქვენს სურვილს და თქვენ მიერ აღრჩეულ კაცს. მე მიინც გირჩევთ, რომ, როდესაც კრება რამე ჟურნალს ადგენდეს, უნდა იყოს დასახელებული კანონები, რომელთა ძალით ადგენთ ჟურნალს. თავმჯდომარის აღრჩევა დაფარული კენჭის ყრით უნდა მოხდეს და არა ისე, როგორც თქვენ მოახდინეთ.

კენჭის ყრით ავირჩიოთ, გაისმის რამდენიმე დეპუტატის ხმა. მაგრამ მ. კაპანაძე კენჭის ჩამოტარებაზე ძლიერ წინააღმდეგია. მას რამდენჯერმე სთხოვეს დეპუტატებმა კოლოფის დაღმა კენჭის საყრელად, მაგრამ ძლიერ უარი განაცხადა. ცოტა ხნის შემდეგ მ. კაპანაძემ თანხმობა განაცხადა კენჭის ყრაზე, მაგრამ ახლა დეპუტატებმა უთხრეს უარი. შემდეგ თავმჯდომარის კანდიდატებად დასახელებს დეკ. მ. მ. ამბერკვი მომფორია და ამ. ფოფხაძე.

მღვ. ი. ტაბიძე. მამანო დეპუტატნო! კენჭი უნდა უყაროთ მღ. ამ. მომფორიას, ამ. ფოფხაძეს და ტ. კაპანაძეს.



არ შეიძლება ტ. კაპანაძის კანდიდატად დანიშვნა, არ გვიღდა იგი თავმჯდომარედ, რას ჩავგვივებინებთ მის კანდიდატობას? ერთხმად ისმის.

უყარეს კენჭი მღ. ამბერკი მომფორიას და ამ. ფოფხაძეს. არჩეულ იქმნა უმეტესი ხმით მღვდელი ამბერკი მომფორია. საქმის მწარმოებლად ერთხმად არჩეულ იქმნა დეპ. მღ. ლ. ფერაძე. კრებამ შეადგინა სიგელი ხსენებული ბირების აღმორჩევაზე და წარუდგინეს ყოვლად სამღვდელოს და კრება მეორე დღისათვის გადაიდვა.

მეორე დღეს, 16 დეკემბერს შემობრძანდა კრების ზალაში მათი ყოვლად უსამღვდლოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი. მათმა მეუფებმა აკურთხა კრება და დეპუტატებს მიმართა შემდეგი მოკლე სიტყვით: «მამანო დეპუტატო, თქვენ ხართ ჩემის მოწერილობით დაბარებულნი იმ საგნების განსახილველად, რომელნიც ჩემს მოწერილობაში დაწვლილებით იყო მოყვანილი. მათ გარდა ზოგი წინადადება თქვენს კრებას გარდმოეცემა სასწავლებლების სამმართველოებისა და რჩევისაგან და ზოგი, შეიძლება, თვითონ თქვენ აღძროთ. შეადგინეთ სია ყველა იმ კითხვებზე, რომლებზედაც ესტურსთ მსჯელობა იქონიოთ და წარმომიდგინეთ მე ნებადასართავად. ამასთან უნდა იცოდეთ, მამანო, რომ თქვენ ხართ მღვდელნი, ანათორაში მყოფნი. თქვენი კრება სხვა ერის კაცთა კრებას არ უნდა გვანდეს ურიგობით და უწყსოებით. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გითხრაოთ, რომ წარსულ კრებაზე იმდენი უწყსოება ჩაიღინეთ, რომ მე თითქმის იძულებული შევიქნე ყველა ეს თქვენი უწყსოება ცირკულიარით მიმეწერა სამღვდლოებისათვის და თუ არ მიესწერე სამღვდლოებს, უმადლოდეთ ჩემს მდივანს, რომელმაც სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო აღარ მიმაწერინა და გაატიციეთ. მე მაკვირვებს ზოგიერთების აზრი, რომ გამოცდილ კაცებს არ უჯერებენ და არც თვითონ იციან-რა. თქვენში ბევრია გამოცდილი და მათ უნდა დაუჯეროთ. კარგია, რომ წინანდელი კრების თავმჯდომარე არ


აგირჩევიათ ხელახლა, თორემ მე მას არ დავამტკიცებდი, რადგან წარსულ კრებაზე სრულებით ვერ დაიცვა წესიერება. მამანო, თავმჯდომარე, მიიქცა ახალი თავმჯდომარისადმი, მე შენ გავფრთხილებ, რომ წესი დაიცვა კრებაზე. თუ ვინმემ რაიმე უწყსოება ჩაიღინოს კრებაზე და შეუფერებელი მსჯელობით წესიერება დაარღვიოს და სხდომას ხელი შეუშალოს, თქვენ სიგელი შეუდგინეთ და მომახსენეთ და თვითონაც ყოველივე ღონე იხმარეთ უწყსოების განსარინებლად. კრების შესახებ, დიდი ხანია, რაც წესდებულება არის გამოცემული და სინოდის განმარტებითი განჩინებანი. მსჯელობის და ჟურნალების დადგენის დროს ყველა ისინი სახეში უნდა იქონიოთ და თქვენს განჩინებას ამ კანონებზე უნდა ამყარებდეთ და მით უნდა ხელმძღვანელობდეთ. ეს არის ჩემი დარიცხვა თქვენადმი. თუ ვისმეს რაიმე აქვს სათქმელი, მითხარით». ჩამოვარდა სიჩუმე. კრების ორიოდ დეპუტატმა ყვად სამღვდლოს ყურადღება მიაკცია ქართული ენის სწავლების საქმის მდგომარეობას ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში. ყოვლად სამღვდლომ ბრძანა: „თქვენ უნდა იცოდეთ, მამანო, რომ თქვენ ყველა საგნებზე არა გაქვსთ უფლება მსჯელობა იქონიოთ. ამისთანა კრებები თფილისშიაც არის ხოლმე, გაიგეთ, შეიტყუეთ, თუ იქ იყო მაგისთანა საგნებზე მსჯელობა, აქაც შეიძლება და თუ იქ არ ჰქონდა უფლება სამღვდლოებს, არც აქ შეიძლება. ერთი სიტყვით მე გავფრთხილებ თქვენ და ამასთან ვითხოვ, რომ თქვენი კრება წესიერი და რიგიანი იყოს: ღმერთმა გაეურთხოსოთ». გარდასახა ჯვარი დეპუტატებს და წაბრძანდა თავის სასახლეში.

თავმჯდომარე მღ. ამ. მომფორია. მამანო დეპუტატო, მე მადლობელი ვარ თქვენ, რომ პატივი მეცით და თქვენი კრების თავმჯდომარედ ამირჩიეთ, მაგრამ წინეთაც მოგახსენეთ და ესლაც იმას მოგახსენებთ, რომ მე ამ საქმეში მადგენი გამოცდილება არა მაქვს და გთხოვთ ყველას, რომ თქვენი გამოცდილებით დამეხმაროთ.

დუბ. დუბ. დ. დამაშისე. თუ გვინდა, რომ კრებაზე წესიერება იქნეს დაკული, სიტყვის ნება მიეცესთ დეპუტატებს რიგ-რიგობით და თავსჯდომარის ნებადაურთველად არავის ჰქონდეს ღაბაბაის უფლება, ამასთან კრების განჩინების დასადგენად ქალაქი იყოს დაზუსტი და კრების ყოველი განჩინება მთლად იქნეს დაწერილი, რომ ერთხელვე დადგენილი განჩინება ნაიადგ არ იცვლებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ღაბაბას და მსჯელობას დასასრული არ ექნება.

თავმჯდომარე. კარგი, აგრე იყოს. როგორ მოვიქცეთ ესლა? ყველა წინადადება არა გვაქვს მიღებული. ცირკულიარული მოწერილობაც არა გვაქვს და როგორ მოვიქცეთ? ხომ არავის გაქვს აქ ცირკულიარული მიწერილობა კრების საზაასო საგნების შესახებ? თუ გაქვს ვისმეს, გვათხოვეთ და ისეც დავიბრუნებთ.

(გაგრძელება იქნება).



წერილი ქვემო რაზიდას.

ქვემო რაჭაში მცხოვრები საზოგადოება, როგორც უკვე მრავალ გზის ყოფილა აღიქმული ჩვენს მწერლობაში, დიდს გამაჟირშია, დიდი შრომა და ხარჯი გასდის იმის გამო, რომ რაჭის სამაზრო მართებლობის ადმინისტრაციის თუ სამსაჯულოს რეზიდენციები დამკვიდრებულა დ. ონში, თითქმის მაზრის განაკიდე კუთხეში. უმეტესმა ნაწილია ქვემო რაჭის მკვიდრისამ ორმოცი, ორმოცი-და-ათი ვერსი მაინც უნდა გაიაროს, ვიდრე მაზრის უფროსის ანუ მოპირებულ მსაჯულის რეზიდენციის კარგამდის მიადწოდეს. როგორც მოგვსენებთ, ესლანდელს ზენაობრივად დაქვეითებულს დრო და ჟამში, რამდენიც უნდა ეცადს კაცი, მაინც ვერ აიცილვს თავიდან პოლიციაში და სასამართლოში საქმის დაქვრას და იქ მიმოვლას. ამ გაუკულმართებულ დროის ცხოვრებაში მშვილობიანი კაცის არა თუ ნივთიერი ავლა დიდება არის ხელ შეუხებელი სხვისი საკუთრების უკანონოდ მითვისების სურვილით გაონაგრებულის ბოროტი ზნეობის მექან პირებისაგან; თვით სიცოცხლეც არ არის მართალის და პატიოსანის კაცისა უშიშარს მდგომარეობაში. მაშასადამე, ათა-

სიც რომ ეცადოთ, თავიდან ვერ აიშორებთ პოლიციასა და სულში სიარულს, ვინაიდან პირველის მფარველობა და მეორის სამართალი თითქმის ყოველ დღე სჭირდება სიმართლისა და მშვიდობიანი ცხოვრების მიმდევარ ხალხს. დიხა, მთავრობის ძლივე მოსილი მფარველობა და მისი ქვემარტი სამართალი არის ამ გაკვირებულს ცხოვრებაში ერთადერთი სიმგრე, ერთადერთი თვე დასაკავი იარალი, ერთადერთი ნუგეში მშვიდობიანის კაცისა. ამისათვის სწორი და მიუდგომელი მართლ-მსაჯულება ამითხვოს, რომ ესეთი დაწესებულებები ისეთს ადგილზე უნდა იყვნენ დაბინდრებული, სადაც ხალხს ერთ ნაირად მიუწვდებოდეს ხელი, ყველას ერთ ნაირად შეეძლოს ისარგებლონ უზალღესის მთავრობისგან საერთოდ მონიჭებულის მფარველობითა და სამართლით. თუ ყურადღებას მივაქცევთ ყოველივე ამას და მასთან მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ჩვენში თითქმის ნახევარი წელიწადი მძიმე და სასტიკი ზამთარი სდგას, რომლის გამო უამისოთაც არა სასურველ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი სახალხო გზები ისე ფუჭდება და იმგრევა, რომ კაცს თავის ახლო მეზობლისას ვასვლაც უჭირდება და ვერ მოუხერხებია, მაშინ ცხადათ დიენახავთ ამასაც, თუ რა გაკვირებაში უნდა იყვნენ ქვემო რაჭველები, როდესაც სასამართლოში ან პოლიციაში რაიმე საქმე აქვს. სამოცი—ოთხმოცი ვერსი და ზოგმა მეტრც უნდა გაიაროს მისი და მოის მთავრობის მფარველობის და სამართლის მეტიებლმა ქვემო რაჭველმა, რამოდენიმე დღე, გარდა მძიმე შრომისა და ხარჯისა, მუქთად უნდა დაჰკარგოს მეზავრობაში. ყოველივე ეს მძიმე უღლად აწვა და აწვეს დღესაც ქედზე ზემოხსენებულს ხალხს. ამის გამო დიდი ხანია მეცადინებენ შესახებ მისა, რომ ეს გაკვირება როგორმე შეიმსუბუქონ. რამოდენჯერმე მიმართეს უმაღლეს მთავრობას თხოვნით, რომ მასრის სამმართველო და სამსაჯულო დ. ონიდან გადაეტანათ მაზრის შუაგულს ადგილზე. და თუ ეს რომელიმე საყურადღებო მიზეზთა გამო არ მოხერხდებოდა, იმ შემთხვევაში მოპირებელი სასამართლოს განყოფილება მაინც მოენიჭებიათ ქვემო რაჭველებისათვის. ეს სათხოვარი მაინც და მაინც არ არის დირსი უყურადღებოთ დატოვებისა... და დიდი იმედიც ჰქონდათ მთხოვენს ხალხს მათი ნათხოვნის შესრულებისა. ამ რამდენიმე ხნის წინად ხმაც



ვასმა ჩვენში, ვითომც უმაღლეს მთავრობას უკვე შეუწყნარებია აღნიშნული მუდარება ხალხისა და განყოფილება მომრიგებელ მოსამართლის კამერისა უნდა მიენიჭოს ქვემო რაქველებს და ეს კამერა უნდა დაფუძნდეს სოფ. ამბრალაურშიო. ამ ხმამ სიხარულით აღადრთოვანა მთელი ხალხი, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ეს ხმა ვასმა ჩვენში, თითქმის მეორე წელიწადი სრულდება და ხმაში გამოსახულის საქმის განხორციელების ნიშნები-კი არსად სჩანს... ამბრალაური არ წარმოადგენს შვაცენტრს ქვემო რაქვისას, მაგრამ თუ კი ელირსა ამ მხარეს ზემოხსენებული დაწესებულება, უთაოდ იქ უნდა დაფუძნდეს, რადგან მისე უფრო მოხერხებულს და შესაბამისს ალაგს თითქმის ვერ-კვი გამოესტებნით. ამბრალაური თვით მდებარეობით მშვენიერი ალაგია, ყოველის კუთხით გზა მოსდევს, ახლოა სახელმწიფო საფოსტო გზა-ტრეკილზე. ამასთან იქ არის დაბინავებული პოლიციის ბოქაული. არის დაფუძნებული საავადმყოფო თავის მკურნალით და აფთიაქით. არის წიგნთ-საკავი და სამკითხველო. ამასთან რამოდენიმე სანოვაგეთა გამსყიდველი დუქნები. არის დაწესებული ბაზრობა და სხვა... ყოველივე ეს გარდა თვით მდებარეობის სიკეთესა უპირატესობას აკუთნებს დანარჩენ ადგილებზე ამბრალაურს, თუ ღმერთთან ინება და ჩვენს ხალხს აღუსრულდა თავისი დიდის ხნის საწადელი.

ქაიხოსრო გელოვანი.



კვკლქსკუბის უმთავრესის აღსაქმენებლის მახალის და ხარების ფან-დაკლებით გაახიფვის შესახებ. *)

რუსეთში საეკლესიო-მნობითის საქმის გასაადვილებლად, და განსაკუთრებით დაძველებულის ტაძრების შეკეთებისათვის და ან იმ შემთხვევისთვის, როდესაც აღსენებენ ახალ ტაძრებს კეთილნების შიგრიულებათა დახმარებით, 1899 წლის 15

მკათათვიდგან რუსეთის ყველა რკინის გზებზედ, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე პირდაპირის მიმოსვლისაზედ, მოქმედება დაიწყო გამოცხადებულმა „რუსეთის რკინის გზის ტარიფთა კრებულის“ მე-1063 ნომერში და დაბეჭდილმა ქვემოლ საზოგადო საშეღავათო ტარიფმა მე 74 ნომრით, რომელიც შეეხება გადაზიდვას აღსაქმენებლის მასალისა და ზარებისას შემდეგის პირობით: ტვირთი, დანიშნული ეკლესიათა მენობითის საჭიროებისათვის, იმ შემთხვევებში, უკეთუ მათი შეკეთება ან აღსენება სწარმოებს კეთილნებითა შეწირულებათა საშუალებით, შეიძლება გადაზიდვად იქმნას განსაკუთრებული, ტარიფმა ნაჩვენებ, ფასად, ისე-კი რომ ამისთვის საჭირო არ არის წინ-და-წინ აღძრულ იქმნას რაიმე უშამდგომლობა; მხოლოდ საკმაოა, თუ ის პირნი ანუ დაწესებულებანი, რომელთაც იკისრეს ეკლესიათა შეკეთება ან აღსენება, წარუდგენენ იმ რკინის გზის სამმართველოს, რომელთაც უნდა გადატანილ იქმნას მასალა, ადგილობრივის საეპარქიო მთავრობისაგან მიცემულს მოწმობას ტარიფში ნაჩვენების ფორმით. ეს პირნი და დაწესებულებანი მოკლენი არიან გადაზიდვის წინ მოელაპარაკონ სამმართველოს ტვირთის დანიშნულ ადგილს მიტანის და აგრეთვე მის რაოდენობის შესახებ; აგრეთვე იმის შესახებ, ერთად გაიგზავნება ეს ტვირთი, თუ ნაწილ-ნაწილად. რათა დაუბრკოლებელიც ისარგებლონ მსურველთა საშეღავათო ტარიფით და თავიდან აცილებულ იქმნას მოსალოდნელი გაუგებლობა, საჭიროა, რათა, პირველად, საეპარქიო დაწესებულებათა ქონდეთ ერთგვარი დაბეჭდილი ქაღალდი სხენებულ მოწმობათა და, მეორედ, ეს მოწმობანი ეძლეოდეს საეპარქიო მთავრობის რწმუნებულ პირთაგან მხოლოდ იმ საგნათათვის, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან მე-74 ტარიფში (სიაში) და დანიშნულნი არიან ეკლესიათა შესაკეთებლად და ან აღსაქმენებლად კეთილნებითა შეწირულებათა საშუალებით, ვინაიდან იმ ტვირთის გადაზიდვის დროს, რომელიც თუმცა ნახსენებია ამ სიაში, მაგრამ იგზავნებიან საეკლესიო-მნებითის სამუშაოსა და ეკლესიათათვის, რომელთა შეკეთება ან აღსენება გადაწყვეტილია მმართველობის და საზოგადოებრივის დაწესებულების საკუთრად გადადებულის ხარჯით, აგრეთვე იმ ტვირთის გადაზიდვის დროს, რომელიც მოხსენებული არ არის ამ სიაში და რომ-

*) ამ უკანასკნელ დროში უწმიდესმა ქინოღმსა გამოაცხადა ერთი ფრად შესანიშნავი განკარგულება სვეტლესიო ნიუთების ფან-დაკლებით გადაზიდვის შესახებ, რომელსაც გამოუგებლად ვეუჭავთ.

რედ.



ლიც დანიშნულია ყველა ეკლესიათა საჭიროებათა და მოწყობისათვის, საშელავათო ტარიფი მე-74 ნომრით არ შეიძლება სახეში მიღებულ იქნას და, მესამედ, რათა იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთი იგზავნება პირდაპირის მიმოსვლის გზით ე. ი. რამდენიმე გზით მოწმობებს ზედ დაერთოს კუპონები (ბარათები) გზების რიცხვის მიხედვით.

საშელავათო ტარიფი მე-74 ნომერი 1899 წლ. 1^ნ მკათათვიდგან, სანამ გაუქმებულ იქნებოდეს.

შენობისთვის საჭირო ხე-ტყე, ქვა, აგური და მაგარი კირი, აგრეთვე ახალი ზარები, რომელიც იგზავნება ეკლესიათა შესავსებლად ან აღსაშენებლად, აგრეთვე ძველი გატენილი ზარები, რომელთაც ეკლესიები უგზავნიან ქარხანას გადასაღწობლად, გადაზიდულ იქნებიან შემდეგის ტარიფით:

ა) ეკლესიების აღსაშენებლად ან შესაკეთებლად საჭირო მაგარი კირის და ახალ ზარების გადაზიდვა, აგრეთვე გადაზიდვა ძველის ზარებისა, რომელთაც ჰგზავნიან ეკლესიები ქარხნებში გადასაღწობლად ფუთის და ვერსტის მიხედვით,—

და ბ) ვაგონებით შენებისთვის საჭირო ტყის მასალისა, აგურისა და კირის:

მანძილი 70 ვერსამდის $1/_{100}$ კაბ. ფუთზედ და ვერსზედ 71 209 ვერსამდის—70 ვერს იქით 0,70 კაბ., მიემატება $1/_{200}$ კაბ. ფუთზედ და ვერსზედ.

209 ვერსზედ მეტი $1/_{150}$ კაბ. ფუთზედ და ვერსზედ.

დამატებითი გადასახადი ცალკე—საზოგადო საფუძვლის ძალით.

ამ ტარიფით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ქვემოლ მოყვანილი მოწმობა საეპარქიო მთავრობისაგან მიცემული წარმოდგენილ იქნება,—ვაგონით გადაზიდვა საქონლისა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სათანადო დაწესებულება, რომელიც ამაში საჭიროებს, წინდაწინ შეეთანხმება რკინის გზის სამმართველოს იმის შესახებ, რამდენი ტვირთია გადასაზიდი, როდის უნდა გაგზავნილ და დანიშნულ ადგილს მიზიდულ იქნას.

მ რ მ ბ ა

მიეცა ეს (საეპარქიო უწყების სახელი, რომელმაც მოწმობა მისცა) გადაზიდვის უფლების შესახებ საშელავათო ტარიფის მე-74 ნომრით 1899 წელს გამოცემულის თანახმად, რომელიც გამოცხადებულ იქნა „ტარიფთა კრებულის მე-1063 ნომერში“

(დასახელება ტვირთისა) ფუთისა, რაც საჭიროა აღსაშენებლად ან შესაკეთებლად კეთილნებისათა შეწირულებათა საშუალებით (დასახელება ეკლესიისა), რომელიც იმყოფება სადგურიდგან რკინის გზის სადგურამდის რკინის გზისა.

ადგილი ბექლისა ხელის მოწერა მოწმობის მიმცემი პირისა.

კუპონი (ბარათი) №

მოწმობისა № მიცემულისა განთავსა დღესა 190 წელსა გადაზიდვის უფლების შესახებ საშელავათო ტარიფით მე-74 ნომრით 1899 წ. ფუთ (დასახელება ტვირთისა) სადგურიდგან რკინის გზისა სადგურამდის

ადგილი ბექლისა

შენიშვნა. რიცხვი მოწმობის კუპონებისა უნდა ეთანხმებოდეს იმ რკინის გზათა რიცხვსა, რომლებითაც უნდა გადაზიდულ იქნას ტვირთი. თითოეული ამ გზათაგან მოსკრის შესაბამს კუპონს თვის კონტროლში წარსადგენად, მოწმობა-კი მოზიდულ საქონლის ბარათთან ერთად იმ სადგურზედ რჩება, სადაც გაგზავნილ იქნა ტვირთი; აქვე რჩება მოზიდულ საქონლის ბარათის მეორე პირი (დუბლიკატი).

ზემოლხსენებულის შესახებ უფუძის სინოდის სამეურნეო სამმართველო აუწყებს სასულიერო კონსისტორიებს ჯეროვან განკარგულებათა მოსახდენად.



† ზიოჯი იმთიყვის ქა წარათელი.

ჩვენ სწულ ქვეყნას კიდევ მოაკლდა ერთი საიმედო, ზატიოსანი, დაუღალავი და ზირუთენელი მოღვაწე. იანვრის 11 რიცხვს, ნასადღევის ოთხ საათსა და 15 წუთს ტფილისში სანკრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი, 1866 წლიდან ბ. გიორგი წერეთელს ვხვდავთ ჩვენ სასოვადო და სალიტერატურო ასწარესხედ ერთგულად, თავგამეტებით და დაუღალავად მოღვაწეს. განსვენებული ისე გატაცებული იყო სასოვადობის საკეთილ-დღეო საქმეებით, რომ სრულებით ვურადღებებს არ აქცევდა თავის ზირად საქმეებს. ჩვენში, თითქმის, არ გამოსულა არც ერთი ზერიდრული გამოცემა, რომ განსვენებულს გიორგის ამ გამოცემათა დასრებაში თავიანობა და დიდი მონაწილეობა არ მიეღოს. იმ დროს, როცა განსვენებულის ამსახაგები გამოალებით თბილ ადგილებს დაემებდნენ და თავიანთ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობასე ზრუნავდნენ, განსვენებული სასღვარგარედ გაეშურა, რომ მომეტებული სწავლით და გამოცდილებით აღჭურვილი დაბრუნებულიყო სამშობლოში საქმეაოდ. კაცი ვერ წარმოიდგენს იმ გჭირვებას, რასაც განსვენებული ითმენდა სასღვარგარეთ შეძლების უქეონებლობისა გამო. მაგრამ მან ყოველად დაბრკოლება დასძლია სამშობლოს სიყვარულისათვის. განსვენებული მოვიდა სასღვარგარეთიდან და ხელახლად თავს მიხანში ამოდებულ ძველ საქმეებს მიჭყო ხელი. განსვენებული შრომობდა ერთგულად, რაც შეეძლო.

მომალაჟმა შრომამ უდროოდ დაქანცა განსვენებული. სხვა შეძლების და მდგომარეობის კაცი ამ დროს მუშაობას თავს დაანებებდა და ნებიურულ ცხოვრებას მიეცემოდა და ამით დასუსტებულ სხეულს რამდენიმედ შეიმაკრებდა, მაგრამ ყველა ამაებს განსვენებული მოკლებული იყო. დიდ-სულობით ითმენდა იგი ყველაფერს და ასეთ უბედურების დროს ღვთის განკებით მოვლენილ იქმნა განსვენებული სანუგეშოდ, საამხანაგოდ და მის მოძველად და შემწედ მეუღლე მისი ანასტასია მიხეილის ასული თუშანოვი, რომლის წვალობით, დახმარებით და შემწეობით შეიძლო განსვენებულმა თავისი შეილები ადსრდა-განათლება. ქ-ნი ანასტასია შეიქმნა ნამდვილი დედა განსვენებულის ზირველი მეუღლიდან დაშორილი შეილებისა. და ეს გარემოება განსვენებულს ყოველი გაჭირვების დროს გულს უსხლისებდა.

მაგრამ განსვენებული ვერ ასცდა იმ მწუნარებას, რომელსაც ჩვენში, ჩვენში მარტო, კეთილი მოღვაწე და ზატიოსანი მშრომელი ვერ ასცილებია იმ ერთ გროვა ჯურის ბატონებს, რომელთაც თავის მოვალეობად ვუხდით ლანძღვა-გინება ზატიოსანი მოღვაწისა და ქება-დიდება გაიმეორა და ზირ-მოთხე კაცებისა. ამ ბატონებმა ისე შესამწევად იჩინეს თავი, რომ, ვკონებთ, ვინც ბრძა და ან ვრუ არ არის, უნდა ესმოდეს და უნდა სედავდეს ამ სასიხლარ ზირებს და მათ საქციელს. მართალია, დასაბამიდან ხალხისა ბორტოტება ნიანდაგ ებრძვის სიკეთეს, შური, ცბიერობა და სიდრუე ნიანდაგ ებრძვის ჭეშმარიტებას და სიმართლეს, მაგრამ რადაცა საუბედუროდ ჩვენში



ამეცნავედ აღვირი აიხსნა ამ მხრით თავ-გა-
ულობამ. დაბალსა და ზნე-დაცემულ ხალხში
რის ერთი ფრიად საზიხლარი ჩვეულება.
ანამ კაცი ჰცხოვრებს, მას განსვენებას არ ამ-
ეფვენ, ნიადაგ ლანძღვენ, ჰგმობენ და სასიკ-
ვილოთ არა შურთ. როცა ეს გამოიბლი და
ლანძღული კაცი ამ სოფელს ესალმება, შირ-
ლაღვე ეს გაიმეურა კაცები მიდიან განსვენ-
ბულის სატირლად და სამძიარის გამოსაც-
დებლად, ტირილის დროს ხმა-მადლა მო-
ხრობენ საზოგადოებას განსვენებულის დიდს
ნაყოფიერ სამასურს სამშობლოსა და სა-
ზოგადოებისათვის, მაგრამ ხშირად მდბაღ
ლხში ამ კაიძვერებს ნებას არ აძლევენ,
იმ მათ განსვენებული იტრონ, ან ქება-დი-
ბა შესასან. ძლიერ სასურველია, რომ და-
ლი ხალხის ამგვარ საქციელს წაბამდგეს
ენი ნასწავლი საზოგადოებაც და ჯეროვანად
ნციცხვადეს იმ ვაებატონების, რომელნიც
ჭდვითი სიტყვით ჯერ ლანძღვენ კეთილ
ღვაწით და შემდეგ სიკვდილისა ამაჟე შირთ
ა-დიდებან უემევენ. მაგრამ როდის მოვეს-
ებით, რომ ჩვენში საზოგადოებამ ჯერო-
ად შეიქოს, თუ ვინ არის მისი ერთგული
ღვაწი და ან ორგული?..

დემეტრე განტისკინოს, საჯაროო მძო-
რები, მართალათანა, საიაცა არა არს
აღლებ. ჭირი და ურჯ. შერი ხსენება მა-
დ დარჩება ჩვენ შორის სახატი კი შერი
ანების ნაყოფი ჩუ სს ხა ხმ. დაცულ კქ-

დევ. დ. დამაპიძე.

ზასუხი ბ. ექიმს ვასტანე დამაპიძეს*)

წავიკითხე თქვენი ჩემდამო ღია წერილი „მწყემ-
სის“ 22 №ში და „კვალში“ 50 №ში დაბეჭდი-
ლი რედაქციის შენიშვნით და სწორეთ უნდა მო-
გახსენოთ, ამ წერილმა ძრიელ გამაკვირვა და შემა-
წუხა კიდევ. გამაკვირვა იმიტომ, რომ გეწმის მო-
წმობის მიმცემი ექიმი გაზეთში საზასუხოთ მიწვევს
ქორზედ დამყარებულ „მოტივებისა“ გამო. შემა-
წუხა კი მით, რომ ამ წერილზედ ჩემდა უნებურათ
იძულებული ვაგხდი ახლად ქვეყანაში სამოღვაწეთ
გამოსულს ყმაწვილ კაცს მისთანა ზასუხი გოგო,
რომელიც, მგონია, დიდებასა და ქებას არ შესცენს
თქვენს სახელს, მარა რა ვაეწყობა! *Suum cuique.*

დავიწყებ მით, რომა თქვენი წერილი „რეკ-
ლამა“ მგონია ისე, როგორც დიდხანს შვრებოდა
ხოლმე ერთს დროს ერთი სამზღვარ-გარეთ ნამყოფი
ექიმი თბოლისში: „ვკურნავ მოკლეს დროში ყო-
ველსავე სნეულმას“ და აღრიცხავდა ხოლმე სხვა-
და-სხვა სნეულების სახელს თვით სიკვდილის ბრკა-
ლამდე. თუ ეს ასე არ არის რისთვის მეწამებო,
ვითომც მე ვფიქრობდე, რომ თქვენ ჩემს ადგილს
ეპოტინებთ და შიშით თავზარდაცემული ქვეყა-
ნას ამას შეეჩიოდე?

*) ამ ზასუხის გამოსაწვევად წერილს გ. დ.—მისს
მივეციოთ ჩვენს გამცემში ადგილი, ჯერ მისთვის,
რომ „კრებულში“ მის დაბეჭდვას ტენზურამ ნება არ
დართა, რადგან შურნაღის შრტურამის წინააღმდეგად
მიანია. სხვა ადგილობით ქართულ გამცემში-კი ვერ
მხებრნად სრულად მისი დაბეჭდვა. ჩვენ მივიღეთ ს-
ხეში ღია წერილის თავდატერილი კილო, მარტოვად
დაუენებელი კითხვა, და ვურთვერის გზით ვერ წარმო-
ვიდგენდით, თუ ეს თავზანანად დაწერილი ღია წერილი
გამოაწვევდა ბ-ნ საზოგადოებისაგან ანაირ ზასუხს, რე-
კორიერ მივიღეთ დასაბეჭდად თხოვნითურთ, რომ იგი
მიანცა და მიანც უკლისად იქნეს დაბეჭდილია. ჩვენ
დაწმუნებულნი ვართ, არც ერთი სხვა რედაქცია არ და-
ბეჭდვდა ამ ზასუხს გამოკლებულად, რადგანაც მასში
არის ისეთი ადგილები, რომელნიც სრულებით საქმეს
არ შეეხებან, და მასსადამე, დასაბეჭდიც არ არიან.
მაგრამ, რომ არ ითეჟქოს ბ-ნმა საზოგადოებამ და არც
მკითხველ საზოგადოებას აფიქრებინოს, ვითომც ჩვენ





თორმეტი წელიწადი იქნება რაც ამ სამსახურში ვარ და თუ გინდა ბევრი კარგიც არ გამოკეთებობს რა, არა წამახდენია რა მანაც და არა მგონია პან-ლურის ცემით გამომაღონ! ანა თქვენ რა გააკეთეთ გეწყობისთვის შესანიშნავის მოწმობის მიცემას გარდა, რომ მოგიწვიონ, თუმცაღა ეს ადგილი თქვენ, რა საკვირველია, უფრო დაგემზრობათ.

ჩემი თქვენდამი შიში კი არა, ეს თქვენი მოწმობა არის მიზეზი ამ აყალბაყალის ატეხისა და შეუღღვეთ ამ თქვენგან აღძრული კითხვის გამოკვლევას.

შარშან აგვისტოს მომივიდა უფროსი ექიმისაგან მოწერილობა, რომ დაწვრილებით მიმეცა პასუხი საჩივრის თაობაზედ, რომელიც ბეს. გეწყობის მიუერთმეფია რკინის გზის უფროსის ბ. ვედენევისათვის. და რომელშიც იგი აცხადებს, რომ მე და ჩემი ფერწალი ივანოვი მივექმეთ მას ძლიერს სტეკით, ავათმყოფათ არ ვიცანთ და „ბილიტუნშიაღ“ ჩაუწერეთ, რომ ავათმყოფობას იგონებხო. იმავე საჩივარში გეწყობე სწერს, რომ მე ძოვილ ავათ ვაზნდი ხუთს აგვისტოს იმას შედგე, რაც სამსახურის აღსრულებას დრფს უკუში მწერი ჩამიდგრა, მაგრამ ათს აგვისტომდის ვითმენდი ავათმყოფობას და სპ-

მიუდგომელობა ვერ გამოვიჩინეთ ამ შეთხვევაში, დავამიხიჯეთ მისი ზახუხა, და არ მივეცეთ დანისძიება თავისუფლად გამოეთქვა ეგულა ის, რაც მას ჰქურდა,— ამისათვის იძულებული ვართ მთლად დავებუდეთ ეს ზახუხა უტეგულად; ასე რომ რეაქციის მოაგლეგლასაც-გი—წერდიას სლავაინის ცაკვრას—არ ვგებთ.

ბ-ნმა ნახარფმა ეს ზახუხა სწორედ ამ დრფს წარმოგვიდგინა, რადესაც დეკემბრის №-რი ჩვენი გამოცემისა დაბეჭდილი იყო, ამისათვის შეაკვიანდა ამის დაბეჭდვას. ვინადაცან შემიღვეა №-რი თებერვლის შეს რიცხვამდე არ გამოვა, ამისათვის ვ. დ—ძის ზახუსსაც აქვე დაუთმეთ ადგილი. და ამით ვსწამთ სრულად ამ საქმეზე ყოველგვარ პოლემიკურ წერას. დაწმუნებული ვარო, რომ დავიბრებულე შეითხველ საზოგადოებისათვის ეს კითხვა და ისიც სკამად გამოვრეკული იქნება, თუ სდ არის სიმართლე და სდ არის უმართლებია. და თუ მარტო წერადმასემს და მეტადრე „მიმეკების და ნიშნების“ დაკლებას მიაქცევს უურადლებას, მაშინ-კი რასაკვირველია კითხვა არ გათავდება, რუსული დრმატიკის კანონებს საბოლოო გამოვრეკვამდე, და ამას სმად ბუერი დოდინი დასტადრება...

რედ.

სსუწრდ არ გამოვდენია. ათს კი ავიღე „ბილიტუნში“ და მივედი ფერწალ ივანოვთან შეწყობის მისაღებათ, მაგრამ ივანოვმა ავათმყოფობა ვერ გამოიწრო და ცილიც შეწყობა, ავათმყოფობას იგონებო. 12 აგვისტოს მეორეთ მივედი ფერწალ ივანოვთან და მაშინ ის ძოვილ გამიწყობა, გამლანდა უშვების ენითა და მიბრძანა, რომ მივექცულიყავი რკინის გზის ექიმთან ნახაროვთან ქუთაისში და მეც იმ დღესვე, ესე იგი თორმეტს აგვისტოს ვიყავი ექიმთანო, მაგრამ იმანაც ვერ გამოიწრო ჩემი უტეგლება და თითქმის იგივე ზახრი გამოსთქვა, რაც ივანოვმა და მხოლოდ მომცა რაღაცა მცირედი „კაპლები“ უკრში ჩასასხმელად; სამუშაოსაგან კი არ გამოათვისულეთაო.

შემდეგ ამის გეწყობე თავის საჩივარში ცილს სწამებს ფერწალ ივანოვს, ვითომც იგი სახეფიფო წამლებს კერძო პირებს აძლევდეს და მოსამსახურეებს კი უსინდისოთ ემპრობოდეს და თქვენ კი ბ. დამბაშოძეს გიძლენის დიდს ქებას და დიდებას და თან მაღლობასაც, რომ დაისხენით იგი არა თუ ტანჯვისაგან, არამედ სიკვდილისაგანაც. აქვე დასძენს გეწყობე, რომ ამ ჩემსა და ჩემი ფერწალის ურიგო საქციელს ყურადღება მიაქციონ და გეროლიანთ დავსაჯონ და ამის კი დაუბრუნონ ის 15 მანეთი, რომელიც მს თქვენ საქმით მოვარათათ. ამ საჩივარში იყო ჩაღებული თქვენგან ხელმოწერილი მოწმობა რომელიც თითქმის ყოველსავე საჩივრის მუხლს ამტკიცება *]. მე იმ დრფს, ბ. დამბაშო, თქვენ ვერ გიცნობდით, თუმცაღა „მწყემში“ კი ბევრჯერ მქონდა წაკითხული თქვენს მრავალ დეკლარაციას მიმართებულ შორაანის მაზრაში და ამის გამოც ვერ დავაჯერე ჩემი თავი, რომ მოწმობა თქვენი შედგენილი ყოფილიყო. ნება მომეკო(თ) გერ გაავსახროთ ის თქვენი მოწმობა და მეცმე ვავტენობოთ იმ პასუხს, რომელიც მიგსწერე ჩემს უფროსს ექიმს.

მოწმობა *).

მიეცა ესე რემონტის მუშას კავკაზის რკინის გზისა ბესარიონ მაქსიმეს ძეს გეწყობეს მას შინა რომელ, მოიქცა რ. იგი წინაშე ჩემსა 12 აგვისტოს წარმოადგენდა ყოველსა ნიშნებსა („სიმტომებსა“) ტანჯვისასა გამოწვეულიხა გარეშე სხეულისა გამი-

* ეს თხოვნა გეწყობისა და მოწმობა დღეს ჩვენს ხელშია და სანამ ისინი უფროს ექიმისათვის არ დამბრუნებია, ვინთვისაც სინტერესია, შეუძლია წაიკითხოს. ავტ.

* ამ მოწმობაში ნიშნები, ესე იგი წერტილი და მძიმე, ანუ მარტო მძიმე თქვენი არის და ჩვენ არ ჩავიმატებია. ავტ.



მდებარის მარჯვენასა ყურსა შინა, რომელიც და-
წყოვნილობით ნაზოვნი იყო ჩემ მიერ გასინჯვითა
ყურის ხერვლისა რომელმანაც აღმოაჩინა ნაწილნი
მწერისა თვით სახაურა (баранная переноска)
აკის წინ; რომელ ნაწილნი გამოვლულინი მტკიავ-
ის ყურისაგან ცხადით გვიან ნაწილთა გვირანი
დიდის მწერისა რომელსაცა შევძლო იქ მესვლა
მხოლოდ ცოცხლით მყოფს; ამასთანვე დანაკუწება
მწერისა ნებას არ მაძლევს გამოვსტევა გარდაწყვე-
ტილობით უკანასკნელის ბუნებაზედ; რომელ ავთ-
ენტობას ამგვარი ტანჯვისას რომლის თავდაპირ-
ველ დასაწყისად შეიქმნა ვარემუ სხეულის ყოფნა,
რომელიც უმაღლეს ხარისხამდის სტენდა ყურში,
უნდა მიეყენებია ავთომყოფისათვის მრავალი და
ძირელი ტუკივლები გარდა კატარალურის სიმსივ-
ნისა ყურის ხერვლისა, რაცა შეიქმნა მიუტელებელ
შედეგად თავმსებებულისა და ავთომყოფისა დრსუდ
შეპტობასა; რომელ მოვიდა რა იგი ჩემთან მეშვი-
დნა დღესა ზედა ტუკივლის დაწყებისა ავთომყოფი
გახურებულად იყო ჩემ მიერ აღმჩინებლის შემოქმედით,
რომელიც შეადგენდა გარემუ სხეულის გამოვლენასა
და ზედი ზედ ყურის გამორეცხას, და ამასთანვე
ნაწილნი ყურიდან გამოვლულინი მაქვს უყენებლობით
შენახულნი თუ ვინიცობა საჭირო შეიქმნა მათი
წარდგენა, რასა შინა ხელს ვაწერ ექიმნი ვახტანგ
დავითას ძე ლაშაშვიდ. 12 აგვისტოს 1898 წელს,
დ. ყვირილა.

ბევრი ვცვადე ეს თქვენი მოწმობა ცოტა უფ-
რო აზრინათ გადათარგმნულიყო და თან „ორგი-
ნალის“ ხასიათი დაკლუყოფილიყო, მაგრამ არ
მოხერხდა, იმნიერი რუსულის ცნით არის დაწერი-
ლი. თუ მამა რედაქტორი ღამბაშიძე თავის პა-
ტიცემული ჟურნალში იმდენს ადგილს მითავაზებს,
რომ ეს მოწმობა რუსულათაც დაეტობს ძლიერ,
მადლობელი ვიქნებო და მაშინ ვდარბავენ შემეშ-
ებებს, რომ განგებ უაზროთ გამეხადოს თქვენგან
მიცემული მოწმობა. *)

გნლა, ბ. ვახტანგ, წაიკითხეთ ჩემგან გაგზავ-
ნილი უფროს ექიმთან პასუხი გეწიძის საჩივარზე.

*) აღვადად ავასრულებდით ბ. ნ. ხაზარდვის თსფხას,
რომ მას მოწმობის ნამდვილი წარმოდგენის და არა ზი-
რი, რომელიც არავისკან ან არის დამოწმებული. და
თუ ეს ზიერი ნამდვილია სწორი არის, ვეგდას შეუძ-
ლია, მობრძანდეს რედაქციასი და ამ ზიერს შეადაროს
ორვე თარგმანი (ესეც და ამის სახასუხო წერილში
მოყვანილიც), და თვითონ განსჯეს, რომელი არის
უფრო სწორი და მართებული. რედ.

ქვიდან ცხადთ დანახაბთა(?) რომე თქვენზე ცუ-
დი ჰაზრისა არ ვყოფილავარ და სანამ საჩივარი არ
იხსნა, მე თქვენ იმ მზაკერული მოწმობის „ავტორი“
არ მგონებინართ. აი ის პასუხი. «ბესარიონ გეწიძე
ყოფილა ფერშალ ივანოვთან ასის აგვისტოს და
უთხოვინა ხუთის დღით მუშაობისაგან თავისუფ-
ლება ყურის ავთომყოფობის გამო. ივანოვს, რო-
მელსაც ისეც კანონით აქვს აღკაძალელი მოსამსა-
ხურე პირების განთავისუფლება ექიმის დაუკითხავათ,
არ უცდინა გეწიძე ავთომყოფათ, ჩაუსხამს ყურში
გამბზარი ქაფურის ზეთი და გაუშვია. მესამე დღეს
გეწიძე კიდევ მოსულა ივანოვთან და მოუთხოვინა
განთავისუფლება საშახურისაგან, მაგრამ ამ შემთხ-
ვევაშიც ივანოვს უარი უთქვამს და ურჩევია ჩემთან
მოსვლა. როგორც ყველა მოსამსახურე პირმა იცის
ჩემს „არიონში“, მე ყოველ ორშაბათობით მივდი-
ვარ ხოლმე ყვირილაში, სადაც ვღებულობ ავთ-
ომყოფებს. ათი აგვისტო ის დღე იყო, როდესაც მე
იქ ვიყავი და როდესაც გეწიძეს, რომელსაც «ბი-
ლიუტენი» იმ დღეს იქვე აეღო გზის ოსტატისაგან,
აღვილით შევძლო ჩემთან მოქვეყულიყო თავის
ავთომყოფობის შესახებ, თუ მას მართლა ექიმობა
უნდავოდა და არა მხოლოდ თავისუფლება „ბილიუ-
ტენითა“. თარგმნეს აგვისტოს კი ის ჩამოვიდა ჩემთან
ქუთაისს და მე კიდევ შევამოწმე ის. მტკივანის
ყურის დაწვრილებითმა გამოკვლევაეც ცხადთ დამა-
ნახა, რომ გეწიძეს არაფერი საყურადღებო ავთ-
ომყოფობა არ ემჩნეოდა და იმას კიდევ არ უხსენ-
ებია ჩემთან მწერის ყურში ჩაძრობა. რადგან გე-
წიძე საზოგადოთ ჯანმრთელი იყო, არ ქონდა არც
საზოგადოთ და არც ადგილობრივი სისხლე, მისი ყუ-
რის ღარი სუფთა იყო, სმენა კარგი ქონდა, მე იგი
ვიკანი ავთომყოფის „ნეიროალგიათა“ (neuralgia tym-
panica), დაუნაშენ ყურის გამორეცხათბილი წყლითა
და „კაბლიტი“ ყურში ჩასახსნათ (კოკაინი გლიცე-
რინში გადნობილი). ყოველივე ამის საბუთებს აქვე
გვზავნი: ერთს ნაქვრს «ბილიუტენისას» და აღმო-
წერილობას საექიმო დათვრიდან (правдивая книга).
«როგორც სჩანს გეწიძის საჩივრიდან, იმას
მწერი უნდა ჩასძრომოღეს ყურში 5 აგვისტოს,
მაგრამ ათამდის ამ აწუხებდა(!), ათს კი გამოუცხადა
ივანოვს თავისი ავთომყოფობა და მოსთხოვა უფრო
განთავისუფლება, ვინემ საექიმო შემწეობა და რო-
დესაც როგორც უარი მიიღო, წამოვიდა ჩემთან ქუ-

თაის და მჭიდვად სადამოყრდ 12 აგვისტოს, (მე ვლენ-ბულომ მოსამსახურე პირთა საღამოს 6 საათიდან 8-დის, რადგან ამ დროს მოდის ქუთაისის რკინის გზის მატარებლები ტყიბულიდან და ყვირილიდან), მოწმობას კი აქვს მიტეხული ფერიადში იმავე 12 აგვისტოს, თუმცადა თავის სახეგარეში ანხასს, რამ ეს იძულებული იყო იმის შემდეგ მიტეხულიყო კერძო ექიმთან, რადგან მეტ ვერ ვარგე ჩემის ჰატარა „კაბლეითა“. ექიმის მოწმობაში ნათქვამია, რომ გეწამე გამოეცხადა ბ. ღამბაშიძის 12 აგვისტოს შემვიდეს დღევნ შემდეგ ავთაგანდომისა ყურის ხერვილს „კატარალური“ ანთებითა და გარეშე სხეულითა ყურში. „ყოველსა ამას, ამბობს ბ. ღამბაშიძე მოწმობაში, (გამოუწვევია უკიდურესს მდგომარეობამდის ავთამყოფობა და მიუყენებია მისთვის მრავალი და ძრიელი ტკივილი, რაიცა არის აუცილებელი შემდეგი თავის დროზედ უქემით და უყურადღებოთ ავთამყოფის დატოვებისა).

ჭებრონოლოგია ამ მოწმობის ერთბო არეულია და მოითხოვს ცოტა გამარკვევას ჩემის მხრით. 12 აგვისტო არის სწორეთ მეშვიდე დღე გეწამის ავთამყოფობისა, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, რომ ის მართალს ამბობს და მწერი შეუძგრა ყურში ნას აგვისტოს, ამ თანმეტ აგვისტოს ეს კაცი იყო ჩემთან ქუთაისში, როგორც სანას აქ წარმოადგენილი „დოკუმენტისაგან“ (ბილიუტენის ნაქერიდან) და ავთამყოფობა მე ვერ შევამჩნიე. ავირილაში კი მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო 13 აგვისტოს დადამდის და მეტადვე მოწმობას მიადება ბ. ღამბაშიძისსაგან, რომელსაც არა თუ გარეშე სხეული ამოულია ყურის ხერვილიდან „კატარასთავისაგ“ უქემობისა რამოდენიმე ვუწას კამარეგხეათს. ეს ურიგო „ჭებრონოლოგია“ და ვერათვე ეს ურიგო მოწმობა, რომელსაც უფრო ზომოდენელი რაქმის სასიათი აქვს, მე მიძულვებს ზოგიერთი ჩემი ექვი გამოვსთქვა შესახებ ამ საქმისა“. ჩემგან და ჩემი ფერშლისაგან რომ ვერ მიილა გეწამემ გასამართლებელი საბუთი სამუშაოზედ გამოუსვლელობისა, რისთვისაც იმას გზის ოსტატმა ჯარიმა დაადო, განიძრახა ავთამყოფობის მოწმობის შოვნა კერძო ექიმისაგან და მით თავის გამართლება, მაგრამ, როგორც ეტყობა მისგან წარმოადგენილ მოწმობას, ეს იმან ვერ მიახერხა. (მე დავეკითხე გეწამის თაბაზედ გზის ოსტატს და იმან მომწერა „აფიკალურათ“ შემდეგი: „გეწამე ძრიელ უხერო მუშა არის, მუდამ იგონებს სხვა და სხვა მახეგებს, რომ მუშაობა თავიდან

აიცილოს და თან დიდი „კლიაუნნი“ ხასიათის კაცოც არისო. ამის დასამტკიცებლათ შემიძლია მოგახსენოთ, რომ მან ერთი წლის წინეთ შეიტანა საჩივარი ენდარმთან განსვენებულს საეან ლზე (ანგარიშის მწარმოებელი იყო მესამე „უჩასტისა“), ვითომც მას ჯამაგირის დაირგების დროს ფული დაეკლოს. გამომძებამ დაამტკიცა, რომ მისი საჩივარი სრულიად უსაფუძლო იყო“. იმავე ოსტატისაგან შევიტყვე, რომ გეწამე იმის შემდეგ, რაც მოწმობა ემოვნა, ძრიელ გვემტკებოდა თურმე მე და ჩემს ფერშლს“.

„ოჯგბში თითო მახინჯი არაოდეს არ გამოილევია, ამბობენ და მგონია, გეწამე უნდა ეკუთვნოდეს იმ გვარ ხასიათის კაცს, რომელსაც შრომა არ უყვარს და სამსახურში იოლათ უნდა გამოვიდეს და რადგან ამ გვარ პირს თავისი არ გაუფიდა და მისი ავთამყოფობა კანონიერათ ვერ იცნეს და თან კიდევ ჯარბი დაადგეს, მან მოინდომა ავთამყოფობის მოწმობის საშუალებით თავის გამართლება და ამისთვის შეეძლო მას ყოველივე სიგლახე ჩაედინა ექიმის მოსატყუებლათ, თუ კი გაუფიდავია. მე კი ვფიქრობ, რომ წარმოადგენილი მისგან მოწმობა ექიმის ნაწერი არ უნდა იყოს, რადგან იგი არის იმოდენათ უმეტრულის ენით და თან მზაკერული მიმართულებით სავსე, რომ უფრო ადვილი წარმოსადგენია, ის იყოს ნაწერი ვინმე მაწანწალო „ადუკატისაგან“, ვინმე კანონმდებლის და გონება განსილის ექიმისაგან. მე ვთხოვთ, მაზრის ვეროლის საშუალებით შეიტყვოთ, მართლა ეს მოწმობა ბ. ღამბაშიძის მიუღია, თუ არა? შემდეგ შეგიძლიათ დაამავლოთ დამტკიცება ჩემი სიმართლისა და მოწმობის სიყალბისა. ამასთანვე ისეც უნდა მოგახსენოთ, რომ მე ოცი წელი ექმი ვარ და არაოდეს არ მინახავს, რომ მაგვგარი მოწმობა ექიმს ვისმესთვის მიეცეს. ბ. ღამბაშიძისთან მე პირადი ნაქობობა არა მაქვს, ვინც მოლოდინ, რომ დღე ხანი არ არის რაც იგი ყვირილაში ჩამოვიდა და არ შემიძლია დავიჯერო, რომ იმან იკადროს სრულიად უსაფუძლოდ უტყობა ამხანაგის გალანძღვა „აფიკალურ“ მოწმობაში და ისეთი უმწერი ენით, რომლითაც მოწმობა არის დაწერილი“.

რადგან საქმე საჩივარზე მივიდა, მე ვთხოვლობბ თქვენგან დაწერილებით გამოიკვლიოთ იქმნის ეს საქმე და დამნაშავე სასტიკად დაიხაროს და ამით შეიძლება სურვილი მზაკვრობისა დაეკარგოს მათ, ვისაც პატიოსანი შრომა და მოღვაწეობა დავიწყებია, სინიდისი დაუკარგავს და უსაფუძლო საჩივრები დაუწყე“.



ეს გახლდა ჩემი პასუხი გეწადის საჩივრით გა-
მოწვეული. აქედან თქვენ ბ. ვახტანგ, ცხადათ და-
ინახავთ, რომ მე სრულიად აზრათ არ მომსვლია,
რომ თქვენზე დამედვის ბრალი, როგორც „ავტორ-
ზე“ იმ „კლიაუნ-ური“ მოწმობისა, რომელიც საქ-
მეში არის. ან რათ გიკვირსო, რომ მე, რომელსაც
იმ დროს თქვენი პირადი ცნობა არა მქონია, მო-
ვინდომე შემეტყუა მასრის უფროსის საშუალებით:
თქვენ იყავით „ავტორი“ მოწმობისა, თუ სხვა ვინ-
მე, ვისაც მზაკვრობა პროფესიათ გაუხდია? სანამ ეს
მიწერი-მოწერა ტრიალდება ჩემსა და უფროს ექიმისა
შუა მე მომივიდა მოწერილობა ბ. უფროსი ექიმისა
სახაროვისაგან 15 ანგრიდგან 1899 წ. № 218,
რომელშიაღ შექრს, რომ მასრის უფროსის საშუალებით
შეტუბაბ ამაისა, თუ მოწმობა ვაისა დაწერდიათ სკარდ
ადარ არისო, რადგან ბ. დამაშაქმე გამომავსაგან თხო-
ვას *), რომ დაწინაშე რკინის გზის „უჩსტკის“ ექი-
მათ და ამ თხოვნის ჩედა რომ შეგადრე მოწმობის
ხელს, ცხადათ დაწინაშე, რომ მოწმობა ბ. დამაშაქმე-
საგან არისო დაწერდიათ**)

ამას შემდეგ კი ჩამივარდა ენა და აღარ ვი-
ცადი, რა მეფიქრა თქვენზე და თქვენ დიდ მოლ-
ვაწობაზედ, რაზედაც მრავალ რასმეს გვაუწყებდა
ხლომე მამი თქვენის ჟურნალი „მწყემსი“. ვამჯო-
ბინე ამხედ ლაპარაკის მოსმობა და დაუფრეე ჩემს
ახლო მეგობრებს—ექიმებს, რომელთაც თქვენნი მო-
წმობა და გეწადის საჩივარი წაიკითხე, რომ თქვენ
ამგვარი მოწმობის მიცემა გამოუცდელით მოვი-
ვიდათ. მე ყურადღება არ ვათხოვე არც იმას, რომ
ბ. ჩვენმა მოვსანმა აკაი წერიტელმა ერთ პატრე-საცემ
ოჯახში ილაპარაკა, ვითომც თვითონ დასწრებოდეს,
როცა თქვენ გეწადეს ყურიდგან ერთი დიდა მატლი
ამოუღეთ და სიკვდილისაგან იხსენით ავთომოკუფი
ჩემგან და ჩემი ფერმლისაგან სიკვდილამის მიყუ-
ნილი. მე ეს ნალაპარაკევი ბ. აკაის მიმხინია მის
ჩვეულებრივ პოეტურ ოცნებათ და არც დღეს მო-
ვიხსენებდი ამას, რომ თქვენ ღია წერილი არ და-
გებექდათ.

*) ჩემდამო ღია წერილში უარს რისთვის ამბობთ შე-
სახებ სამახურის თხოვნის რკინის გზაზე? ავტ.

*) ჩვენ მოვსახევეთ ბ. ნახარაგს, რომ გამოკო-
ხოვა დაწინაშედა თხოვნის პირი თავისი უფროსი ექიმი-
საგან და მან, როგორც ვიცით, კიდევ გამოათხოვა, მ-
გრამ თხოვნის პირი მან ვერ მიადე და დაწმუქნული
ფართ, ვერც მიადეს, რადგანაც არავითარან ამნადი
თხოვნას არ უყოფდა.

რედ.

რაც შეეხება თქვენს გულმტკინვალებას დაბა-
ლი ხალხისა შესახებ და ზნეობრივს თქვენს მოვა-
ლეობას და ყოველ ამგვარ შემთხვევაში საშუალების
აღმოჩენისა ამახედ ლაპარაკი საქირო არ არის, რად-
გან მე თითქმის ოცი წლის განმავლობაში ვშრო-
მობ ქუთაისის გუბერნიაში და თუ აქამდის ზნეო-
ბით მახინჯი ვიყავი, დაბალი ხალხისა მზავრელი,
სულით და გულით ღატაკი, მაშინ თქვენი ქადგება
მე ველარ გამაწორებს და ისევ სჯობია ბოლომდის
შევიწახო ის ხსიათი, რაც აქამდის მქონია.

დასასრულ რამდენიმე კითხვა უნდა მოგმარ-
თოთ და იმერ მაქვს პასუხს მიმოძებო.

1, ნუ თუ თქვენ მართლა გგონიათ, რომ ქარ-
თველი მუშა ვერ იცრუებს და არც ავთომოკოფობის
მოგონებას იკადრებს, თუ ეს ფრაზები დაგიწერიათ
ბავშვების გულის მოსაგებათ?

2, ნუ თუ მართლა გეწადეს, ამ ღარიბს და
პატრონის მუშას, როგორც თქვენ ის გიცნით,
თქვენ გამოართვით 15 მან., ერთი თვის მისი ჯე-
მაგირი ყურის გამოტრეცხაში, როგორც ის ჩემს მთა-
ვრობასთან სჩივა და ჩემგან ამ ფულის დაბრუნებას
თხოულობს, თუ ჩვეულებისამებრ სტყუის გეწადე და
თქვენ კი სრულიად უსაფუძლოთ გულმტკინველად
თავის თავისა და ჩემი ჯვარცმა მოინდომეთ?

3, რისთვის და ვისა წასარდგენით შეინახეთ
გეწადის ყურიდგან გამოღებული მწერი?

4, რობა ხსნით თქვენ, რომ ვინმე მწერი ცო-
ცხალი იყო გეწადის ყურში და ფართხლობდა, არ
აწუხებდა მას, და როცა მოკვდა, და დაიხსნა ნა-
წილ-ნაწილად ისე, რომ გამოცნობაც ვერ შესძე-
ლით, მაშინ სასტიკი და აუტანელი ტკივილი აუტ-
ყდა გეწადეს?

5, ესეც მიბრძანეთ, ეხლა მაინც გამოცნობი-
